




ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები 02
- მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის პირველი მოსმენით მიღება 03
- უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევასთან დაკავშირებული ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში 03
- რეფორმა ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიმართულებით 04
- საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ 12
- ცვლილებები მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონში 13



1. Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

2021 წლის 22 ივნისს, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (შემდგომში „დადგენილება №322“) განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ:

22 ივნისიდან:

- აღარ არის სავალდებულო ღია საჯარო სივრცეში ყოფნისას ან/და გადაადგილებისას პირბადის გაკეთება. თუმცა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შენარჩუნებულია დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის გაკეთების ვალდებულება.

30 ივნისის 23:00 საათიდან:

- უქმდება გადაადგილების მიმართ დაწესებული შეზღუდვები. გადაადგილება დაშვებული იქნება მთელი დღის/ღამის განმავლობაში;
- დასაშვები ხდება რესტორნების/ბარების/კაფეების, სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზების ფუნქციონირება სასტუმროებსა და განთავსების მსგავს საშუალებებში მხოლოდ სასტუმროსა და განთავსების მსგავსი საშუალებების სტუმრებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით 05:00 საათიდან 00:00 საათამდე, ხოლო 00:00 საათიდან 05:00 საათამდე დასაშვები იქნება მხოლოდ ნომერში მომსახურების სერვისი;
- მსგავსად, კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების /კაფეების ფუნქციონირება როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში სტუმრის მიღების მიზნით

დასაშვები იქნება 05:00 საათიდან 00:00 საათამდე, გარდა სოციალური ღონისძიებებისა, მიტანის მომსახურებითა (ე. წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე. წ. „თეიქ ევეი“ და „დრაივი“).

ამასთანავე, 2021 წლის 16 ივნისს დადგენილება №322-ში განხორციელებული ცვლილებით „საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლის შემთხვევაში, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული 10 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირი (მოქალაქეობის მიუხედავად) თავისუფლდება საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის წარმოდგენისა და საზღვრის კვეთიდან მე-3 დღეს PCR კვლევის ჩატარების ვალდებულებისგან“.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 31 მაისს ზემოაღნიშნულ დადგენილებაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის:

- განისაზღვრა, რომ საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო მიმოსვლის შემთხვევაში, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ნებისმიერი პირი (მოქალაქეობის მიუხედავად), ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის (ორი დოზა, ხოლო johnson&Johnson ვაქცინაციის შემთხვევაში - ერთი დოზა) დამადასტურებელი დოკუმენტის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში, არ ექვემდებარება ამ დადგენილებით განსაზღვრულ შეზღუდვებს; [თუმცა, აღნიშნული არ ვრცელდება ინდოეთის რესპუბლიკიდან მომავალ პირსა, და პირებზე, რომელთაც იქ მოგზაურობის ისტორია აქვთ გარკვეულ პირობებში.

2. მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის პირველი მოსმენით მიღება

2020 წლის 13 აგვისტოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ფუნდამენტურ ცვლილებებს.

2021 წლის 28 მაისს, მოცემულ კანონპროექტს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭი ეყარა და მიღებულ იქნა პირველი მოსმენით.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული კომიტეტის შენიშვნების მიხედვით „ცვლილებების პაკეტი გადამუშავებისა და სრულყოფის მიზნით საჭიროებს არაერთ მნიშვნელოვან ცვლილებას“. ამის გათვალისწინებით, იურიდიული კომიტეტის შენიშვნაში მითითებულია, რომ მეორე მოსმენით საკომიტეტო განხილვისას კომიტეტი წარადგენს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის გადამუშავებულ რედაქციას.

ცვლილებების კუთხით საყურადღებოა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დასკვნა, რომელშიც სხვა შენიშვნებთან ერთად, აღნიშნულია, რომ სააქციო საზოგადოებისათვის მინიმალურ განთავსებულ კაპიტალად 100 000 ლარის მოთხოვნის დადგენა შესაძლებელია არ იყოს გონივრული და „მიზანშეწონილი იქნებოდა, დაწესდეს მინიმალური კაპიტალის შედარებით მცირე ოდენობა და შემდგომ წლებში, ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებასთან ერთად, მოხდეს მისი ეტაპობრივი დაახლოება

ასევე, კომიტეტის დასკვნაში, აღნიშნულია, რომ კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული პოზიციების თანახმად „აქციების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ [სააქციო საზოგადოებაში] გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობის არარსებობამ შეიძლება შეაფერხოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურები, განსაკუთრებით დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებში. მიზანშეწონილია, აღნიშნული შესაძლებლობა აისახოს წარმოდგენილ კანონპროექტში.“ მსგავს მოსაზრებებს იზიარებს ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნაც.

გასათვალისწინებელია, რომ ახალი კანონის ამოქმედებამდე სამეწარმეო საზოგადოებებს განესაზღვრებათ კანონის ამოქმედებიდან 2 წლიანი ვადა სარეგისტრაციო მონაცემების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

ბოლოს, ყურადსაღებია, რომ ცვლილებების ამოქმედება იგეგმება 2021 წლის განმავლობაში, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია კონკრეტული თარიღი.

3. უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევასთან დაკავშირებული ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ვენეციის კომისიის დასკვნაში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც ახლებურად

მოწესრიგდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის პროცედურის მთელი რიგი საკითხები, რის შედეგადაც გადაწყვეტილების პროცესი ხდება უფრო საჯარო და გამჭვირვალე. ორგანულ კანონში განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები:

- ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით შეფასებებთან დაკავშირებით ხდება საჯარო და ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. ამასთანავე, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ შეაფასებს ყველა კანდიდატს და აღნიშნულ შეფასებებს დასაბუთებებთან ერთად არ გადასცემს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, ითვლება, რომ იგი არ მონაწილეობს კანდიდატების შეფასების პროცედურაში, ხოლო მის მიერ განხორციელებული ყველა კანდიდატის შეფასების შედეგები კი უქმდება.
- შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატთა შერჩევის ბოლო ეტაპზე (კენჭისყრის ეტაპზე) გამომსვლელ კანდიდატთა სიის შედგენის წესი. კერძოდ, ამ სიას იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეადგენს არა კენჭისყრის შედეგად, არამედ კანდიდატთა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით შეფასებისას მათ მიერ დაგროვებული ქულების (საუკეთესო სარეიტინგო მაჩვენებლების) მიხედვით.
- ასევე, დგინდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული თავისი ნებისმიერი პოზიციის დასაბუთების

ვალდებულება, მიუხედავად იმისა, მხარს დაუჭერს თუ არა იგი კანდიდატს და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საბჭოს რომელმა წევრმა რომელ კანდიდატს დაუჭირა/არ დაუჭირა მხარი კენჭისყრაში, და კენჭისყრისას დაფიქსირებული პოზიციების დასაბუთება ხდება საჯაროდ და ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე.

- შეიცვალა პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენის მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კენჭისყრის გამართვის წესი.

4. რეფორმა ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიმართულებით

1. ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ დადგენილება

2021 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის №249 დადგენილებით სავარაუდო დემპინგის შესახებ განცხადების შესწავლის წესი განისაზღვრა. აღნიშნული დოკუმენტი ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიმართულებით რეფორმის შედეგია და ის ადგილობრივი წარმოების „დემპინგური“ იმპორტისგან დაცვას უზრუნველყოფს. პირველი ივნისიდანვე გახდა შესაძლებელი კონკურენციის სააგენტოსადმი სავარაუდო დემპინგის შესახებ განცხადებებით მიმართვა.

1.1. შესწავლის საგანი და განმცხადებელი სუბიექტი

დადგენილების თანახმად, შესწავლის საგანს წარმოადგენს საქართველოს საბაჟო

ტერიტორიაზე პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის, მის მიერ ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხისა და მათ შორის

მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა, ხოლო პროცესის მონაწილეებად მიიჩნევიან მხარეები, განმცხადებელი და ექსპორტიორი, და დაინტერესებული პირები.

იმპორტირებული პროდუქტი შეიძლება, გახდეს შესწავლის ობიექტი, თუ მოცემული პროდუქტის

საექსპორტო ფასი უფრო დაბალია, ვიდრე მსგავსი პროდუქტის ნორმალური ღირებულება ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში იმ უცხო ქვეყნის ბაზარზე, საიდანაც ხორციელდება მოცემული პროდუქტის ექსპორტი.

დადგენილების მიხედვით განმცხადებელი სუბიექტი შესაძლებელია იყოს ადგილობრივი ინდუსტრია ან მისი სახელით მოქმედი პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქტის დემპინგური იმპორტის შედეგად ადგილობრივ ინდუსტრიას ადგება ზიანი ან იქმნება მისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, რის შესახებაც შესაბამისი განცხადებით მიმართავს შესწავლის ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს. განცხადება შესწავლის ორგანოს წარედგინება წერილობითი ფორმით.

1.2. განცხადების წარდგენის პროცედურა

კონკურენციის სააგენტო განცხადების წარდგენის დღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შესწავლის დაწყების ან შესწავლის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია არა უმეტეს 15 კალენდარული დღით, შესწავლის ორგანოს მიერ განმცხადებლისგან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

შესწავლის დასაწყებად განცხადება გადის მატერიალური და ფორმალური დასაშვებობის შემოწმებას. მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას:

ა) განცხადება მხარდაჭერილი ადგილობრივი ინდუსტრიის იმ ნაწილის მიერ, რომლის წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა არ არის ნაკლები განცხადების ექსპლიციტურად მხარდამჭერი ან საპირისპირო აზრის მქონე ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის 50 პროცენტზე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ მხარდამჭერთა მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა არ არის ნაკლები მთლიანი ადგილობრივი ინდუსტრიის 25 პროცენტზე.

აღსანიშნავია, რომ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს რელევანტური მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება დემპინგური იმპორტი, ზიანი და მიზეზშედეგობრივი კავშირი დემპინგურ იმპორტსა და ზიანს შორის.

განმცხადებელს მოეთხოვება ინფორმაციის წარდგენა, რომელიც მისთვის გონივრულად ხელმისაწვდომია, მათ შორის:

- განმცხადებლის მიერ მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი წარმოების ღირებულებისა და მოცულობის აღწერას;
- სავარაუდო შესწავლის ობიექტის სრულ აღწერას, წარმოშობის ან ექსპორტიორი ქვეყნ(ებ)ის სახელ(ებ)ს, თითოეული ცნობილი ექსპორტიორის ან უცხოელი მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მონაცემსა და სიას ყველა იმ ცნობილი პირისა, რომელიც ახორციელებს სავარაუდო შესწავლის ობიექტის იმპორტს;

- ინფორმაციას ფასებზე, რომლითაც სავარაუდო შესწავლის ობიექტი იყიდება წარმოშობის ან ექსპორტიორი ქვეყნ(ებ)ის ადგილობრივ ბაზარზე მოხმარებისთვის, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, სადაც შესაბამისია, ფასებზე, რომლითაც სავარაუდო შესწავლის ობიექტი იყიდება წარმოშობის ან ექსპორტიორი ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში/ქვეყნებში, ან პირობით ფასზე. ასევე ინფორმაცია საექსპორტო ფასის შესახებ, ან, სადაც შესაბამისია, იმ ფასის შესახებ, რომლითაც სავარაუდო შესწავლის ობიექტი პირველად გაიყიდა დამოუკიდებელ მყიდველზე საქართველოს ტერიტორიაზე;
- ინფორმაცია სავარაუდო დემპინგური იმპორტის მოცულობის დინამიკაზე, ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე ასეთი იმპორტის მხრიდან ზემოქმედების შესახებ და ასეთი იმპორტის ადგილობრივ ინდუსტრიაზე თანმდევი გავლენის შესახებ, გამოხატული შესაბამისი ობიექტური ფაქტორებით.

განმცხადებელს თავისუფლად შეუძლია წარადგინოს სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გაამყარებს მის არგუმენტებს დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, კონკურენციის სააგენტო დაადგენს ხარვეზს და მის ამოსაფხვრელად განსაზღვრავს გონივრულ ვადას. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში შესწავლის ორგანო უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს განცხადება.

აქვე, აღსანიშნავია, რომ განცხადება არ საჯაროვდება, ხოლო შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში, განცხადების სრული ტექსტი, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გათვალისწინებით, გადაეცემათ ექსპორტიორებსა და ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობებს, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ პირებს.

1.3. შესწავლის პროცედურა

შესწავლისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებები უნდა შეესაბამებოდეს შესწავლის დაწყებამდე არანაკლებ 6-თვიან პერიოდს. ზიანის შესახებ მსჯელობისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებები უნდა ვრცელდებოდეს შესწავლის დაწყებამდე, სულ მცირე, 3-წლიან პერიოდზე. თუმცა, შესწავლის ორგანო უფლებამოსილია, დაადგინოს განსხვავებული პერიოდებიც შესწავლის დაწყების შესახებ შეტყობინებაში შესაბამისი დასაბუთებით.

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულება დემპინგური იმპორტისა და ზიანის შესახებ განიხილება თანადროულად, როგორც შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე შემდგომ, შესწავლის პროცესში.

დადგენილების თანახმად შესწავლის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველებია:

- არაუფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენა,
- წარდგენილი მტკიცებულებები დემპინგზე, ზიანზე ან მიზეზობრივ კავშირზე არ არის საკმარისი პროცესის შემდგომი გაგრძელებისათვის;
- სახეზეა იმპორტის უმნიშვნელო მოცულობა ან/და დემპინგის ზღვარი ნაკლებია მინიმალურ დემპინგურ ზღვარზე;

- არსებობს შესწავლის შედეგად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე შესწავლის ობიექტზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება;
- არსებობს განცხადების დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე შესწავლის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება.

დადგენილება ასევე ითვალისწინებს შესწავლის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლებს. შეჩერების საფუძვლები დადგენილია კანონით „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ მე-16 მუხლით, ხოლო შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

- შესწავლის პროცესში განმცხადებლის მიერ ხდება განცხადების გამოთხოვა;
- შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ განმცხადებელი არაუფლებამოსილი პირი იყო;
- შესწავლის ორგანოს მიერ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დადგენისას;
- ექსპორტიორის მიერ აღებული ნებაყოფლობითი ვალდებულების ვადის გასვლით.

შესწავლა მიიჩნევა დასრულებულად სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების, გადახედვის ან გაუქმების მიზანშეწონილობის შესახებ სათანადო დასკვნის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენით. ამასთან აღსანიშნავია, რომ შესწავლის პროცესი არ აბრკოლებს იმპორტის საბაჟო გაფორმების პროცედურებს.

შესწავლის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. აღნიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია 6 თვით.

შესწავლის დაწყებისა და დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების ვალდებულება ეკისრება შესწავლის ორგანოს, როგორც ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობისა და უფლებამოსილი ორგანოსთვის, ასევე, ცნობილი დაინტერესებული პირებისთვის. მანვე უნდა განახორციელოს შესწავლის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების, გადახედვის ან გაუქმების მიზანშეწონილობის შესახებ ნებისმიერი დასკვნის გამოქვეყნებას შესწავლის ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

შესწავლის დაწყების გადაწყვეტილების შემდგომი ეტაპები:

- ინფორმაციის მოპოვება: შესწავლის ორგანო კითხვარით მიმართავს კანონით განსაზღვრულ ყველა ცნობილი დაინტერესებული პირისათვის. დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან, კითხვარის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობონ პასუხები შესწავლის ორგანოს. დასაბუთებული წერილობითი თხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მითითებული ვადის გაგრძელება არა უმეტეს 10 სამუშაო დღით. იმ შემთხვევებში, თუკი მხარე/დაინტერესებული პირი და სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი უარს აცხადებს საჭირო ინფორმაციის გონივრულ ვადაში მოწოდებასა ან მასზე წვდომაზე, ასევე, თუ ის მნიშვნელოვნად აფერხებს შესწავლას, შესაბამის დასკვნას ორგანო იღებს მის ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით.
- ვერიფიკაცია: მოწოდებული ინფორმაციის შემოწმების მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში,

შესწავლის ორგანო უფლებამოსილია, განახორციელოს ვიზიტი ექსპორტიორ ან შესაბამის მესამე ქვეყანაში. ვიზიტის განხორციელება საჭიროებს ექსპორტიორებისა და უცხოელი მწარმოებლებისგან თანხმობას, ასევე, შესაბამისი ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლების შეტყობინებასა და მათგან თანხმობას.

- განხილვის სხდომა: დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაცვის ან შესწავლის ორგანოს მიერ შესწავლისათვის რელევანტური ინფორმაციის მიღებისა და დაზუსტების, დაპირისპირებული არგუმენტებისა და მათი ინტერესების გამომხატველ პოზიციათა ზეპირი დასაბუთებისა და შეჯერების მიზნით, შესაძლებელია, გაიმართოს განხილვის სხდომა, რომლის ინიცირების უფლებაც აქვთ მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს წერილობითი მოთხოვნის წარდგენის გზით. განხილვის სხდომის თარიღი განისაზღვრება შეტყობინების გაგზავნიდან არა უადრეს 15 კალენდარული დღისა. განხილვის სხდომა არის კონფიდენციალური და მოწვეულ პირთა დაუსწრებლობა არ არის სხდომის შეწყვეტის საფუძველი.

1.4. დემპინგის დადგენა

დემპინგის დადგენისთვის, პირველ ყოვლისა, შესწავლის ორგანო იკვლევს ნორმალურ ღირებულებას. ნორმალური ღირებულების დასადგენად გასათვალისწინებელია ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზრის მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის გაყიდვების მოცულობა, ასევე, ცვლადი მაჩვენებლები და ხარჯები. შედარების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნორმალური ღირებულება დგინდება ა) მსგავსი პროდუქტის ფასით, რომელიც ექსპორტირებულია მესამე

ქვეყანაში; ან ბ) წარმოების ქვეყანაში წარმოების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც, მათ შორის, უნდა მოიცავდეს ადმინისტრაციულ, გაყიდვების და სხვა ხარჯებს, ასევე მოგებას. ამასთან ერთად, ნორმალური ღირებულების დადგენისას გასათვალისწინებელია საბაზრო თუ არასაბაზრო ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნების თავისებურებები.

ნორმალური ღირებულების დადგენის შემდგომი ეტაპია საექსპორტო ფასის დადგენა. შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასის შესახებ ინფორმაციის არქონის შემთხვევაში ან საექსპორტო ფასის უტყუარობასთან დაკავშირებით შესწავლის ორგანოს გონივრული ეჭვის შემთხვევაში, იმის გამო, რომ შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი და იმპორტიორი პირდაპირ ან მესამე პირის მეშვეობით დაკავშირებულ პირებს წარმოადგენენ, ან არსებობს ინფორმაცია წარსულში მართლსაწინააღმდეგო შეთანხმების ფორმით აღნიშნული პროდუქტის საექსპორტო ფასის დადგენასთან დაკავშირებით, ან არსებობს ინფორმაცია დამატებითი შეთანხმების შესახებ, მათ შორის, ფასდათმობებისა და კომპენსაციის თაობაზე, საექსპორტო ფასი შესაძლებელია, გაანგარიშებულ იქნეს იმ ფასის საფუძველზე, რა ფასადაც იმპორტირებული პროდუქტი პირველად გადაიყიდება დამოუკიდებელ მყიდველზე; ან იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული პროდუქტი არ გადაიყიდება დამოუკიდებელ მყიდველზე ან არ გადაიყიდება ისეთი ფორმით, რა ფორმითაც ის იქნა იმპორტირებული საქართველოს საბაზო ტერიტორიაზე, საექსპორტო ფასი დადგინდება სხვა მეთოდით, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება შესწავლის ორგანოს მიერ და აკმაყოფილებს ფასების სამართლიანი შედარების კანონით განსაზღვრულ პრინციპებს.

შედარება და დემპინგური ზღვარი

დემპინგური ზღვარი დგინდება პროდუქტის ნორმალური ღირებულების საშუალო შეწონილი ფასის ყველა შესადარებელი საექსპორტო პარტიის ფასის საშუალო შეწონილ ფასთან შედარებით ან პროდუქტის ნორმალური ღირებულების ცალკეული გარიგებების საექსპორტო ფასებთან შედარებით.

1.5. ზიანის დადგენა და მიზეზშედეგობრივი კავშირი

ადგილობრივ ინდუსტრიაზე დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანის ან ზიანის მიყენების საფრთხის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს დემპინგური იმპორტის მოცულობის, აგრეთვე დემპინგური იმპორტის ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე გავლენისა და ამ პროდუქტის ადგილობრივ მწარმოებლებზე გავლენის ანალიზს.

ადგილობრივ ინდუსტრიაზე დემპინგური იმპორტით მიყენებული მატერიალური ზიანის საფრთხის დადგენისას სახეზე უნდა იყოს ერთობლივად ყველა შემდეგი ფაქტორი, რომელთაგან არც ერთს არ ენიჭება შინაარსობრივი უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით:

- დემპინგური იმპორტის ზრდის ტემპები და შემდგომი ზრდის პროგნოზი;
- აქვს თუ არა ექსპორტიორს შესწავლის ობიექტის საკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები ან აქვს თუ არა ადგილი ასეთი შესაძლებლობების შეუქცევად ზრდას, ასევე სხვა საექსპორტო ბაზრების შესაძლებლობას, მიიღოს დამატებით აღნიშნული პროდუქტის ექსპორტის მნიშვნელოვანი ოდენობა;
- შესწავლის ობიექტის ფასების დონე, თუ ფასების ასეთ დონეს შეუძლია, გამოიწვიოს მსგავსი პროდუქტის ფასების შემცირება ან შენარჩუნება, ან

შესწავლის ობიექტზე მოთხოვნის ზრდა საქართველოს ბაზარზე;

- ექსპორტიორის ხელთ არსებული შესწავლის ობიექტის მარაგები.

შესწავლის ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ ადგილობრივ ინდუსტრიაზე ზიანის გამომწვევ მიზეზს დემპინგური იმპორტი წარმოადგენს. ამისთვის, შესწავლის ორგანომ უნდა უჩვენოს, რომ დემპინგური იმპორტის მოცულობის ზრდა და მისი გავლენა ფასებზე წარმოადგენს ადგილობრივ ინდუსტრიაზე იდენტიფიცირებული გავლენის საფუძველს.

1.6. ანტიდემპინგური ღონისძიების განსაზღვრის წესი

1.6.1. წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მტკიცებულებებით შესწავლის დასრულებამდე აშკარაა, რომ იმპორტი დემპინგურია და იგი ზიანს აყენებს ადგილობრივ ინდუსტრიას ან ქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, შესწავლის ორგანო შეიმუშავებს წინასწარ დასკვნას წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფის ან უზრუნველყოფის ფორმის დაწესების თაობაზე, რომლის ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს წინასწარ შეფასებულ დემპინგურ ზღვარს.

წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფი წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ წილს, რომელიც გამოითვლება შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულებიდან. წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება შეიძლება, შემოდებულ იქნეს აგრეთვე უზრუნველყოფის ფორმით – ნაღდი ფულის დეპოზიტის ან გარანტიის სახით, რომელიც შეესაბამება წინასწარ შეფასებულ ანტიდემპინგურ ტარიფს და არ აღემატება წინასწარ შეფასებულ დემპინგურ ზღვარს.

ტარიფის გამოყენება დასაშვებია არაუმეტეს ოთხი თვის განმავლობაში, ან შესწავლის ორგანოს გადაწყვეტილებით, ექსპორტიორთა დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ ბაზრის მოცულობის არანაკლებ 80 პროცენტს, ჯამში არა უმეტეს ექვსი თვისა. იმ შემთხვევაში, როდესაც შესწავლის ორგანო შესწავლის მიმდინარეობისას განიხილავს დემპინგურ ზღვარზე დაბალი ტარიფის საკმარისობას ზიანის აღმოფხვრისათვის, აღნიშნული პერიოდები შეიძლება შეადგენდეს შესაბამისად ექვს და ცხრა თვეს.

1.6.2. ნებაყოფლობითი ვალდებულებების აღება ფასთან მიმართებით

ექსპორტიორი უფლებამოსილია, მიმართოს შესწავლის ორგანოს და წერილობითი ფორმით აიღოს ნებაყოფლობითი ვალდებულება (შემდგომში – ვალდებულება) შესწავლის ობიექტზე დადგენილი ფასების გადახედვის ან აღნიშნული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური ფასით ექსპორტის შეწყვეტის თაობაზე (საქართველოში აფილირებული ექსპორტიორების არსებობის შემთხვევაში, ექსპორტიორის აღნიშნული ვალდებულებების მხარდაჭერა მისი აფილირებული პირების მიერ).

ვალდებულების აღება ძალაში შედის საქართველოს მთვარობის მიერ ვალდებულების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებით, რომელსაც წინ უსწრებს შესწავლის ორგანოს წინასწარი დასკვნა ვალდებულების დამტკიცების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. დადებითი დასკვნა აჩერებს შესწავლის პროცესს ვალდებულების ვადის გასვლამდე. ვალდებულების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესწავლის ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შეჩერებული შესწავლის გაგრძელების თაობაზე.

1.6.7. სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი

მსგავსად წინასწარი ტარიფისა, სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ წილს, რომელიც გამოითვლება შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულებიდან, რომლის შემოღება ხდება არაუმეტეს 5 წლის ვადით და განისაზღვრება თითოეული ექსპორტიორისთვის ინდივიდუალურად, მათი დემპინგური ზღვრის გათვალისწინებით. ეს ვადა აითვლება სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დემპინგური ზღვარი არ იქნა განსაზღვრული რომელიმე ექსპორტიორის ან პროდუქტის მწარმოებლის მიმართ, მათთვის სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი დადგინდება, უმაღლესი ინდივიდუალური დემპინგური ზღვრის განაკვეთის შეფარდებით დემპინგური იმპორტით შემოსული პროდუქტის ღირებულების საშუალო შეწონილი ფასის განაკვეთთან და შესწავლის ობიექტის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასით.

დასკვნა სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებასთან დაკავშირებით წარედგინება საქართველოს მთვარობას, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ანტიდემპინგური ტარიფთან დაკავშირებით.

1.6.8. განმეორებითი შესწავლა

დადგენილება ითვალისწინებს განმეორებითი შესწავლის შესაძლებლობასაც. სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 90 დღით ადრე შესწავლის ორგანო ამის შესახებ საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ოფიციალურ შეტყობინებას. ოფიციალური შეტყობინების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში ადგილობრივი ინდუსტრია უფლებამოსილია, შესწავლის ორგანოს

მიმართოს წერილობითი განცხადებით განმეორებითი შესწავლის დაწყების თაობაზე სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. წერილობითი განცხადება უნდა მოიცავდეს საკმარისს მტკიცებულებებს, რომ სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის მოქმედების შეწყვეტა სავარაუდოდ გამოიწვევს დემპინგური იმპორტით განმეორებით ზიანის მიყენებას ან ადგილობრივ ინდუსტრიაზე ზიანის მიყენების გაგრძელებას. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფისთვის განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 წლით, იმ შემთხვევაში, თუ შესწავლის ორგანო განმეორებითი შესწავლის საფუძველზე დაადგენს, რომ სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის მოქმედების შეწყვეტა ადგილობრივ ინდუსტრიას დემპინგური იმპორტით ზიანს მიაყენებს. აქვე აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შესწავლის შემთხვევაში სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი შეიძლება, ძალაში დარჩეს განმეორებითი შესწავლის დასრულებამდე, რომელიც 12 თვის პერიოდს არ უნდა აღემატებოდეს.

2. წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესის შესახებ დადგენილება

ანტიდემპინგური კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით პირველ ივნისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა N 251-ე დადგენილება „წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესის შესახებ.“

დადგენილების თანახმად წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და

სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია, როგორც ტექნიკური დეტალები წინასწარი და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფების გადახდებთან დაკავშირებით, ასევე, წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების უზრუნველყოფის ფორმები და მათი ადმინისტრირება.

დადგენილების მიხედვით უზრუნველყოფის მიზნით წარსადგენი გარანტიის სახეებია საბანკო გარანტია და ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი. დოკუმენტი დეტალურად ჩამოთვლის იმ მონაცემებს, რომელსაც უნდა შეიცავდეს თითოეული მათგანი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების მოქმედების ვადას არანაკლებ 10 კალენდარული დღით. გარანტიის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ამოქმედების დღიდან დაუშვებელია სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ბიუჯეტში სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე იმ პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელზეც შემოღებულია სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი.

ანტიდემპინგური ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.

5. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ ცვლილებები

მიმდინარე წლის მარტში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, რომელიც ძირითადად შეეხო ოჯახის წევრის დეფინიციას, მუდმივი ცხოვრების ნებართვის მოპოვების წესსა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ცვლილება განიცადა ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებამ - საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ.

2021 წლის მაისში დადგენილებაში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები შეეხო შემდეგ საკითხებს:

- მიმართვის ვადა: ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით უცხოელი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართავს არაუადრეს 90 დღისა ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვამდე. ოჯახის გაერთიანების მიზნით და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას, ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადა უნდა აღემატებოდეს 6 თვეს;
- ნებართვის საფუძვლის შემოწმება: ბინადრობის ნებართვის საფუძვლების არსებობის შესამოწმებლად სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების

შემთხვევაში, გადაამოწმოს დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია ადგილზე გასვლის გზით, როგორც ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, ასევე ბინადრობის ნებართვის გაცემიდან 1 წლის განმავლობაში. ბინადრობის ნებართვის საფუძვლების არსებობის შემოწმების მიზნით, სააგენტო ასევე უფლებამოსილია, მიიწვიოს განმცხადებელი და მიიღოს მისგან საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია და ახსნა-განმარტება. (არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, განცხადება დატოვოს განუხილველად).

- ბინადრობის ნებართვის მოქმედება: საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას. სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ.
- ინფორმაციის მიმოცვლა: უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის ვადის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. სააგენტო ვალდებულია მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის ან საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემიდან 2 კვირის ვადაში საჯარო რეესტრს მიაწოდოს მოკლევადიანი ან საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე

უცხოელის შესახებ მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი) და ინფორმაცია იმ უძრავი ნივთის საკადასტრო კოდის შესახებ, რომლის საკუთრებაში ქონის საფუძველზეც მიიღო უცხოელმა მოკლევადიანი ან საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა.

საჯარო რეესტრი ვალდებულია, სააგენტოს შეატყობინოს იმ უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ, რომლის საკუთრებაში ქონის საფუძველზეც გაიცა მოკლევადიანი ან საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა.

6. ცვლილებები მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონში

2021 წლის 27 მაისს გამოქვეყნებული ცვლილების შესაბამისად:

საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, უფლება აქვს, 2022 წლის 31 დეკემბრამდე მიმართოს სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ მან დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა და არ არსებობს ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვების გამომრიცხავი გარემოებები.

საქართველოს მოქალაქეებად, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა კანონის შესაბამისად მოიპოვეს ან რომლებიც საქართველოს მოქალაქეობას ამ კანონის შესაბამისად მოიპოვებენ, მიიჩნევიან:

ა) 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

ბ) 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირი, რომელიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდა საქართველოში და რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირი, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და რომელსაც არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელ ცნობას, გასცემს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან) არსებული პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია.

საკონტაქტო ინფორმაცია:

*საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28*

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585



**NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS**